



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ხ ო ნ ი  
მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 32

06/04/2017

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** 2017 წლის 7 აპრილს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, ვ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კომუნალური სერვის ცენტრი“-ს დირექციაზე ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ტექნიკის თხოვნების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ  
**მომხსენებელი:** გელა ჩოგოვაძე-გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
2. ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კომუნალური სერვის ცენტრი“-ს დირექციაზე ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ტექნიკის თხოვნების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ  
**მომხსენებელი:** გელა ჩოგოვაძე-გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
3. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ.  
**ალიკო ვეკუა:** საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.
4. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ.  
**მომხსენებელი:** სერგო ბალავაძე-გამგეობის აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი
5. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ.
6. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ  
**მომხსენებელი:** ჯემალ მებუკე- ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

**მუხლი 2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე